

ბავშვებში ტყვიის ექსპოზიციის შესწავლა (2020-2023წ) და მშობლების
ცნობიერების დონის შეფასება საქართველოში

ნინო ფოლადიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი : ირმა ბურჯანაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.



17.06.2024

აბსტრაქტი

ბავშვებში ტყვიის ექსპოზიცია იწვევს ისეთ გართულებებს, როგორცაა კოგნიტიური და ნევროლოგიური დარღვევები. ტყვიის ნაწილაკების მოხვედრა ორგანიზმში ხდება ინჰალაციის ან/და გადაყლაპვის გზით. ტყვიის ზემოქმედების წყაროებს წარმოადგენს ნიადაგი, ჰაერი, წყალი, საკვებ პროდუქტები და სამომხმარებლო ნივთები.

საქართველოში ტყვიის ზემოქმედების რისკების შესახებ მშობლების ინფორმირებულობისა და ცოდნის გაგება გადამწყვეტია ეფექტური პრევენციისა და ინტერვენციის სტრატეგიებისთვის.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში, ბავშვებში ტყვიის ექსპოზიციის გავრცელების შესწავლა და მშობლების ინფორმირებულობის დონის შეფასება, მისი შემდგომი პრევენციის მიზნით.

კვლევის ამოცანები:

- ბავშვებში ტყვიის ექსპოზიციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და განხილვა.
- ბავშვებში ტყვიის ექსპოზიციის წინააღმდეგ გაწეული ხარჯების შეფასება
- ტყვიის ექსპოზიციის შესწავლა ბავშვებში
- მიღებული კვლევის შედეგების შეჯამება და ანალიზი
- კვლევის შედეგის მიხედვით დასკვნისა და რეკომენდაციების მომზადება.

ჰიპოთეზა: დღესდღეობით საქართველოში მაღალია ტყვიის ექსპოზიცია ბავშვებში, რაც გარკვეულწილად მავნე ზეგავლენას ახდენს ბავშვის ჯანმრთელობაზე. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს მშობლების ცნობიერების დაბალი დონით.

კვლევის მეთოდები: საქართველოში ბავშვებში ტყვიის ექსპოზიციის შესასწავლად, ნაშრომის ფარგლებში, გამოყენებულია აღწერილობითი ეპიდემიოლოგიური კვლევა,

ხოლო მშობლების ცნობიერების დონის შესაფასებლად რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. აღწერილობითი ეპიდემიოლოგიური კვლევის ანალიზის საფუძველზე განხილულია 2020-2023 წლის სტატისტიკური მონაცემები, ხოლო რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის ფარგლებში მოხდა ბავშვებში ტყვიის ექსპოზიციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და ანალიზი. ასევე ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა „Google Forms“-ის პლათფორმით, წინასწარ შედგენილი კითხვარის საშუალებით. მშობელთა შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. კვლევაში მონაწილეობა 259- მა რესპონდენტმა მიიღო.

შედეგები: სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული აღწერილობით ეპიდემიოლოგიური ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ბოლო წლებში ბავშვებში ტყვიის ექსპოზიციის გავრცელება განსხვავებულია. ტყვიის ზემოქმედების შემცირებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარება არა მხოლოდ აუმჯობესებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შედეგებს, არამედ უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს. რაოდენობრივი კვლევის შედეგად ნათლად გამოვლინდა, რომ მშობლები ინფორმირებულები არიან თუ რა საზიანო გავლენა აქვს ტყვიას ბავშვების ჯანმრთელობაზე. ამასთანვე ნათლად გამოიკვეთა პრობლემა, მიუხედავად მშობლებში ინფორმირებულობის მაღალი მაჩვენებლის, ტყვიის მავნე ზეგავლენაზე, ისინი მაინც არ ერთვებიან არსებულ პროგრამაში რომელიც მოიცავს სისხლში ტყვიის კონცენტრაციის განსაზღვრას, ვინაიდან არ აქვთ მიწოდებული სწორი ინფორმაცია ან საერთოდ არ ფლობენ ინფორმაციას პროგრამასთან დაკავშირებით, მათ იციან, რომ ეს მეტალი არის საზიანო, ასევე იციან არსებული მეტალის ორგანიზმში მოხვედრის წყაროები თუმცა არ თვლიან საჭიროდ შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებში მიიღონ მონაწილეობა, რაც ერთგვარად პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ გაატარა რამდენიმე პოლიტიკა ტყვიის ზემოქმედების შესამცირებლად, მათ შორის ტყვიის სკრინინგის პროგრამები, სამომხმარებლო პროდუქტების ტყვიის შესახებ რეგულაციები და ტყვიის მიღების შეცვლის ინიციატივები. თუმცა, აღსრულება და ყოვლისმომცველი გაშუქება კვლავ გამოწვევად რჩება.

საკვანძო სიტყვები: ბავშვები, ტყვია, ექსპოზიცია, მშობლები, საქართველო, ინფორმირებულობა.

Abstract

Lead exposure in children causes complications such as cognitive and neurological disorders. Lead particles enter the body through inhalation and/or ingestion. The sources of exposure to lead include soil, air, water, food products, and consumer goods.

Understanding parental awareness and knowledge of the risks of lead exposure in Georgia is critical to effective prevention and intervention strategies.

To achieve this goal, a comprehensive review of scientific literature on lead exposure among children was conducted, focusing on understanding the pathways of exposure and associated health impacts. Additionally, quantitative research was undertaken using the "Google Forms" platform, employing a pre-designed questionnaire administered through random sampling. A total of 259 respondents participated in the study, providing insights into parental knowledge and perceptions concerning lead exposure.

As a result of the descriptive epidemiological analysis conducted within the framework of the master's thesis, it was observed that the distribution of lead exposure in children has varied in recent years. Implementing lead exposure reduction and prevention measures not only improves public health outcomes but also provides significant economic benefits.

Quantitative research clearly revealed that parents are aware of the harmful effects of lead on children's health. However, despite this high level of awareness, a significant problem was identified: parents are not participating in existing programs that determine the concentration of lead in children's blood. This lack of participation is due to inadequate information about these programs or a complete unawareness of their existence. Although parents know that lead is harmful and are aware of the sources of lead exposure, they do not consider it necessary to engage in relevant preventive measures.

While the state has implemented several policies to reduce lead exposure, including lead screening programs, regulations on lead in consumer products, and initiatives to replace lead pipes, challenges remain in terms of enforcement and comprehensive coverage of these initiatives.

Keywords: children, lead exposure, parents, Georgia, awareness, prevention, intervention, cognitive development, neurological disorders.